ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება - არამატერიალური ზიანის გამოსწორება თუ მორალური დაკმაყოფილების ფუნქციის განხორციელება

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: ნინო სირაძე

ელ.ფოსტა: ninosiradze1997@gmail.com

ტელ:

ხელმძღვანელი: **უჩა ძიმისტარიშვილი**

თბილისი

2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სირაძე

22/06/2021.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, არსობრივ განსხვავებას მატერიალურ - ქონებრივ ზიანთან მიმართებით, კომპენსაციის მქონე სუბიექტებს, ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესებსა და საბოლოო შედეგებს, ვინაიდან ზიანი ფართო ცნებაა და ბევრი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს, შესაბამისად მისი კონკრეტული არსი ბუნდოვანია და ბევრ კითხვას აჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან მიმართების საქართველოში საკმაოდ ბევრ წყაროს ვეცნობით იქნება ეს სასამართლო გადაწყვეტილებები თუ აკადემიური ნაშრომები, ზიანის ცნება მაინც საკმაოდ ზოგადი და საკამათო რჩება, ვინაიდან თუნდაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში „სსკ“) და კერძო სამართლის სხვა კანონები ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია არამატერიალური ზიანი, მისი სახეობები, ანაზღაურების ფუნქციები და პერსპექტივები, სუბიექტები, არამატერიალური ზიანი განხილულია როგორც ქართული ასევე უცხოური სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ვინაიდან, ზიანის ცნება ქართულ კანონმდებლობაში განმარტებული არ არის და როგორც წესი, ეს უკანასკნელი პროდუქტია მრავალწლიანი სასამართლო პრაქტიკისა.